ანალიტიკოსი გია აბაშიძე „ქართული ოცნების“ დამფუძნებლის და საპატიო თავმჯდომარის მიხინია ივანიშვილის ქონების შესახებ OCCRP-ს დოკუმენტს ხემახემა: „უნიჭო ნაცისტების „ჭრიალა არღანი“ კვლავ ვითომ ამუნათებს მიხინია ივანიშვილს ამჯერად არარსებული ქონების გადაფორმებაზე რუსეთში. სასაცილოა, რომ ნაცვალის ხელისუფლების მომხრე „გლობალური ომის პარტია“ პროპაგანდაში ფსონს დებს კოლექტიურ ეკა გიგანტებზე და სხვა უსახურ ე.წ. „ენჯლომენტებზე“, რომელთა სიტყვის ფასი დიდი ხანია ნულის სიბრტყეშია. გრანტების მონა ნაცმსწერებზე „მესიჭოქსი“ არეული აქვთ მიხინია ივანიშვილისა და მმართველი გუნდის ვითომ დისკრედიტაციამ და როგორ ექნებათ თუნდაც სწორხაზოვანი



„შავი პიარი“, როცა მისი აღმსრულებლების თვალსაწიერი უკიდურესად შებლუდული და დასაცინია?.. კიდევ უფრო კომედიურია ის, რომ ცალკეული დასავლელი აქტორები და მათი მარიონეტი ფსევდო-პრეზიდენტი ზურაბიშვილი მაინც გეგმავენ ნაცოპოზიციის გამარჯვების შემდეგ რაღაც „სახლობანას“ ტიპის ე.წ. ტექნიკური მთავრობის შექმნას, სადაც „მინისტრები“ კოლექტიური კაპიტანი გიგანტები, ლომ-ჭარბები, მეტროსადგურის სახელწოდების (და არა თავისუფლებისთვის მებრძოლი) „პარტიის“ ლუგები იქნებიან, რომლებიც უცხოელ პატრონთა დაკვეთებს ასკინკლით აღასრულებენ. რადიკალთა ეს შპაიტო-სენსარი ოცნებად რჩება, ხოლო საქართველოს ამ ორომტრიალიდან გაყვანის პოლიტიკურ მესაჭედ კი კვლავ „ქართული ოცნების“ ხელისუფლება იქნება. თან როგორი მოშლილია ე.წ. სტრატეგიული გათვლებიც ფსევდო-მეგობრებში, ტოტალური ინტელექტუალური კრიზისი აქვთ...“

საგანგებო სიტუაციის პარტიის სამსახურში ახალი თანამშრომელი სწრაფი საშუალო კატარალები შეიძინა

მინიბუს საჭმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციის მართვის სამსახურში, საძიებო-სამაშველო ოპერაციების ეფექტურობის გაუმჯობესების მიზნით, ეფექტური ახალი სწრაფმავალი სამაშველო კატარალები შეიძინა. ქალაქ მათუში საგანგებო სიტუაციის მართვის სამსახურის ხელმძღვანელმა თემურ მღვინიშვილმა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარეს თორნიკე რიუვაძეს და ქალაქ მათუშის მერს არჩილ ჩიქოვანს ახალი კატარალები დათვალა. მინიბუსები და ტექნიკური შესაძლებლობები გააყენო. თანამშრომელი კატარალები შავი ზღვის სანაპირო ზოლზე გადანიშნულა და ეფექტურია, როგორც ზღვაში, ასევე მდინარეში



სამაშველო-საძიებო მოქმედებების დროს. კატარალები აღჭურვილია თანამედროვე ტექნოლოგიებით. მასზე დამონტაჟებულია წყლის ფსკერის სკანირების საშუალებები.

ფოტო-ელექტროსადგური ქუთაისში

100-300 მგვამიანი სიმძლავრის ფოტო-ელექტროსადგური პროექტის „მერები ეკონომიკური ზრდისთვის“ ფარგლებში და-მონტაჟდა. პროექტის განსახორციელებლად ქუთაისის მერიას გრანტის სახით 212 779 ლარი გადაეცა. სამუშაოები შეასრულა კომპანია „მომილფონმა“. ინოვაციური პროექტის გასაცნობად სატრანსპორტო კომპანიაში იმყოფებოდნენ: ქუთაისის მერის მოვალეობის შემსრულებელი დავით ერემეიშვილი, საკრებულოს თავმჯდომარე ირაკლი შენგელია, ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლები. „ფოტო-ელექტროსადგურები დღეისთვის

აქტუალური თემის წარმომადგენს, რომელთა მონაცემების შემთხვევაში, ნებისმიერი კომპანია ახორციელებს ობიექტის ელექტრომომარაგებას ეფექტური და ეკონომიური პარამეტრების გაზრდით. ქუთაისის მუნიციპალური სატრანსპორტო კომპანიაში მოეწყო ფოტო-ელექტროსადგურის ქსელური სისტემა, რის საფუძველზეც სატრანსპორტო კომპანია „ენერგო-პრო ჯორჯია“ ქსელში ჩართავს აღნიშნულ სისტემას, ანუ გასცემს და მიიღებს ელექტროენერჯიას. ქუთაისისთვის, რომელიც ეკო სმარტ ქალაქის მიმართულებით ვითარდება, მნიშვნელოვანია ასეთი ინოვაციური იდეების განხორციელება – განაცხადა დავით ერემეიშვილმა.

აპრილის პირველი რიცხვი: რენი ლიტვინაშვილი ენა რენი ხანის პირველი სივრცეა!

გამორჩენილი თურქოლოგი, ცნობილი ენათმეცნიერი, ლიტერატურათმცოდნე, ონომასტიკოსი და ტოპონიმისტი, განათლებების სისტემის გამომცემი ორგანიზატორი, ღვაწლმოსილი მეცნიერი, მასწავლებელი, პატრიოტი, დიდებული ოჯახის კაცი, აქტიური საზოგადო მოღვაწე, ნიუ-იორკის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი მადალ ნამაზ ოღლუ ჩოზანოვი 1937 წლის 11 აპრილს ბოლნისის რაიონში, სოფელ დარბაზში დაიბადა. საშუალო განათლება მშობლიური სოფლის სკოლაში 1944-55 წლებში მიიღო.

1955 წელს ჩაირიცხა პუშკინის სახელობის თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ფილოლოგიის ფაკულტეტზე. რომელიც 1960 წელს წარმატებით დაამთავრა და დაიწყო მასწავლებლობა მშობლიური სოფლის სკოლაში. სამხედრო სამსახურის გავლის, საქართველოს კომპარტიის ბოლნისის რაიონულ კომიტეტში ერთი წლის მუშაობის შემდეგ, მადალ ჩოზანოვი დააწინაურეს ბოლნისის რაიონულ პარტიულ კომიტეტში ინსტრუქტორად. აქ მოღვაწეობის პარალელურად სწავლობდა აზერბაიჯანის მეცნიერებათა აკადემიის ი.ნასიმის სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის ასპირანტურაშიც.

ბავშვობიდანვე აზერბაიჯანული ენის, ლიტერატურის, კულტურის, სამშობლოს, სოფლის უსაზღვრო სიყვარული მადალ ჩოზანოვის სამეცნიერო მოღვაწეობაშიც აისახა.

1973 წელს წარმატებით დაიცვა სადოქტორო დისერტაცია ტაშკენტის (უზბეკეთის) მეცნიერებათა აკადემიის ლიტერატურის ინსტიტუტში. იმავე წლიდან მადალ ჩოზანოვი აგრძელებს პედაგოგიურ მოღვაწეობას თბილისის ა.ს.პუშკინის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის აზერბაიჯანულ სექტორში.

პედაგოგიურ საქმიანობასთან ერთად აგრძელებდა სამეცნიერო მოღვაწეობას. 1992 წლის თებერვალში ბაქოს სახელმწიფო უნივერსიტეტში წარმატებით დაიცვა სადოქტორო დისერტაცია თემაზე „აზერბაიჯანული ანთროპონიმის საფუძვლები“ და იმავე წლის ოქტომბერში აირჩიეს პროფესორად.

1994 წლიდან პროფესორი მადალ ჩოზანოვი დამკვიდრდა ბაქოში და მეცნიერული და პედაგოგიური მოღვაწეობა იქ განაგრძო.

ჯერ იყო აზერბაიჯანის ფურთოლოგიური უნივერსიტეტის პრორექტორი, შემდეგ აზერბაიჯანის ელიტური უნივერსიტეტის რექტორი, აზერბაიჯანის პედაგოგიური პერსონალის გაუმჯობესებისა და გადამზადების ინსტიტუტის უმაღლესი სკოლის მასწავლებელთა ფაკულტეტის დეკანი, შემდეგ კი ხელმძღვანელი. პეიდარ ალიევის სახელობის უმაღლესი სამხედრო სკოლაში „ენების“ განყოფილებაში მუშაობდა.

სხვადასხვა წლებში ასწავლიდა და კითხულობდა ლექციებს აზერბაიჯანის სა-

ხელმწიფო პედაგოგიურ უნივერსიტეტსა და აზერბაიჯანის ტექნიკურ უნივერსიტეტში.

ის ასევე იყო აზერბაიჯანის რესპუბლიკის პრეზიდენტთან არსებული უმაღლესი საატესტაციო კომისიის საექსპერტო საბჭოს წევრი, აზერბაიჯანის რესპუბლიკის „განათლების“ ცენტრის გენერალური დირექტორი, მრავალი გაზეთისა და ჟურნალის სარედაქციო კოლეგიის წევრი.

პროფესორი მადალ ჩოზანოვი, რომელმაც დიდი წვლილი შეიტანა ასობით მასწავლებლის, ათასობით ახალგაზრდა პერსონალის, განსაკუთრებით პატრიოტი ოფიცრების მომზადებაში, ასევე დაეხმარა



ათობით ახალგაზრდა ფილოლოგ-მეცნიერს წარმატების მიღწევაში. იყო მეცნიერული ხელმძღვანელი, რეცენზენტი და მრჩეველი.

პროფესორი მადალ ჩოზანოვი, ოთხმოცზე მეტი წიგნის, მათ შორის თხუთმეტი მონოგრაფიის, ათზე მეტი სახელმძღვანელოსა და სასწავლო დამხმარე საშუალებების, სამოცზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის ავტორია. მან თავისი ძვირფასი ნამუშევრები საგანმანათლებლო განძად დაუტოვა ჩვენს მომავალ თაობებს.

კვლევითი ნაშრომი თემაზე „აზერბაიჯანული პიროვნული სახელები - აზერბაიჯანული ანთროპონიმის საფუძვლები“, გამოიქა მ-ჯერ სხვადასხვა წლებში და სხვადასხვა ქალაქში (1981 წელს - ბაქოში, გამომცემლობა „მარიფი“, 1983 წელს თბილისში, გა-

მომცემლობა „განათლებელი“, 1998 წელს ბაქოში გამომცემლობა „მარიფი“, 1993 წელს ერზრუმში, სახელწოდებით „აზერბაიჯანული მამაკაცთა სახელები“, 1997 წელს იზმირსა და ანკარაში, 1998 წელს - ბაქოში (რუსულ ენაზე). (წიგნის სამეცნიერო რედაქტორი - Azerb.EA-ს წევრ-კორესპონდენტი, პროფესორი ა.მ. გურბანოვი და ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი გ. შ. კაბიშვილი).

ჯერ ეს ნაშრომი შემუშავდა უმაღლესი სკოლების ფილოლოგიური ფაკულტეტების სასწავლო გეგმით გათვალისწინებული პროგრამის „ლინგვისტიკის სპეციალური კურსის“ საფუძველზე და აზერბაიჯანის რესპუბლიკის განათლების სამინისტროს მიერ დამტკიცდა როგორც დამხმარე სახელმძღვანელო, შემდეგ კი გადაკეთდა დიდ მონოგრაფიად. წიგნი შეიცავს ზოგად ინფორმაციას ონომასტიკის, ანთროპონიმისა და მის კვლევით ობიექტზე, ანთროპონიმის შესწავლის ისტორიას აზერბაიჯანულ ენათმეცნიერებაში, ანთროპონიმების განვითარების საკითხებს, სახელსა და სახელთა სისტემას, გვარს, ფსევდონიმს, მეტსახელს, სახელების საფუძველს და სემანტიკას.


წიგნს იყენებენ უმაღლესი სკოლების ფილოლოგიური ფაკულტეტების სტუდენტები, ასევე საშუალო და ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების აზერბაიჯანული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლები.

პროფესორ მადალ ჩოზანოვის ფართო მკითხველისთვის განკუთვნილი ერთ-ერთი პოპულარული წიგნია „გმირობის ეპოსი“, რომელიც ეძღვნება კიტაბი-დადე გორგულის 1300 წლის იუბილეს.

წიგნი „გამოჩენილი სტრატეგია“ ეძღვნება პეიდარ ალიევის, დიდ ლიდერს, აზერბაიჯანელი ხალხის ეროვნულ გმირს, რომლის 100 წლის იუბილე შარშან აღინიშნა.

გამოჩენილი მეცნიერის წიგნები და მონოგრაფიები ათეულობით საერთაშორისო კონგრესებზე, სამეცნიერო-თეორიულ კონფერენციებზე, სამეცნიერო-პრაქტიკულ სემინარებზე, სესიებებსა და სიმპოზიუმებზე გახმაურდა. მისი ნამუშევრები გამოქვეყნდა როგორც აზერბაიჯანში, ისევე თურქეთში, რუსეთში, საქართველოში, შუა აზიის ქვეყნებში.

პროფესორ მადალ ჩოზანოვის 60, 70, 75 და 80 წლის იუბილევები აღნიშნეს ბაქოში,



თბილისში, მარნეულში და მის მშობლიურ სოფელ დარბაზში, გადაიღეს ფილმები მის შესახებ, გადაიღეს ტელე და რადიოგადაცემები, გაიმართა სამეცნიერო კონფერენციები და სამეცნიერო სესიები. დაინერა ათობით სტატია და წიგნი.

გამორჩეული მეცნიერი დაჯილდოებულია რამდენიმე ორდენით, მედალთ, საპატიო სიგელით. ასევე ის გახლდათ აზერბაიჯანის პრეზიდენტის სტიპენდიანი.

აზერბაიჯანის მეცნიერების, განათლების, ლიტერატურისა და კულტურის ისტორიაში უნიკალური გმირი და ხელწერის მქონე გამოჩენილი მეცნიერი, ნიუ-იორკის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი მადალ ნამაზ ოღლუ ჩოზანოვი თავისი მდიდარი მეცნიერული ნამუშევრებით მარად იცოცხლებს იმთ მათ გულეში, ვინც მას იცნობდა.

შეგახსენებთ, რომ ყოველწლიურად მაისში, საქართველოში დამადებული და გაზრდილი თურქოლოგის, ენათმეცნიერის, გარდაცვლილი აკადემიკოსის მადალ ჩოზანოვის პატივსაცემად საქართველოში ტარდება ცესების კონკურსი უფროსკლასელთა შორის, კონკურსის დევიზია - „ჩვენი ენა ჩვენი ხალხისეროვნული სიმდიდრეა!“

რენა გუსეინოვა


სტატიის ძველდება აზერბაიჯანის დიასპორასთან მუშაობის სახელმწიფო კომიტეტის მხარდაჭერით პროექტის „ჩვენი კულტურული მემკვიდრეობის ხელშეწყობის“ ფარგლებში.

ანსაზღვრს გალაკტიონის ერთი, თავისი მშვენიერებით გაგაზრდავილი ლექსი, სახელწოდებით - LARIX SIBIRICA (ბობინის ნაძვი). მოვიყვანთ ამ ლექსის მხოლოდ ვერსიას ნახევარს, რადგან მეორე ნახევარი აზარად საგნობა სახელმწიფოსთვის ერთგვარი ხარკის გადახდას ვგავს.

ო, ნუ მომაგონებ (დალიე, დალიე), ღენა, ენისეი, ზაბაიკალიე... აწ ჩემი ოცნება და ჩემი ღირიკა ობოლი ნამკია - „ლარიქს სიბირიკა“. სხვა იტყვიან: სად ჩვენი ქართველი ზოეტი, სად მზე კოლხიდისა, და სად ჩრდილოეთი! განდევნა მიწაში, ცამ ვერ შეირიკა

LARIX SIBIRICA

გალაკტიონ ტაბიძის ერთი ლექსი



მაღალტანოვანი „ლარიქს სიბირიკა“. ონეკის სიშორე, ურალის ქარ-თოვლი, ეოფნა ლარიქსისა ცივი, მარტოული. დღეები სითბოსი ვერჯინ დაირიკა და აღარც შენ გერგო, „ლარიქს სიბირიკა“.

პოეტმა აქ გაცნობიერებულად თუ გაუცნობიერებულად, დახელოვნებული მხატვარივით, სიმბოლური სურათი შექმნა: „ყოფნა ლარიქსისა ცივი, მარტოსული“.

რაც შეეხება სურათს, აქ უნდა გავიხსენოთ ლეონარდო და ვინჩი:

„მან მოინდომა ფერწერა გაეხადა სამგანზომილებიანი, და მესამე განზომილებას აქ წარმოადგენს დრო. სურათის სიმრტყე განფენილია დროშიც, მაგრამ ვხედავთ და აღვიქვამთ

დროს არა ისე, როგორც ჩვეულებრივად, ე.ი. მოძრაობებისა და ცვლილებების თანმიმდევრული სახით, არამედ ისე, თითქოს წარსული და მომავალი პარპონიულად აუღერდნენ რალაც სივრცისეულ ანმყოში და მასთან ერთად. ფერწერა ხდება ერთადერთი საშუალება, რათა გადაილახოს შემოღობილი, დამანგრეველი დროის ძალა, რომელსაც ასე მწვავედ განიცდიდა ლეონარდო (Алексей Федорович Лосев, Эстетика Возрождения, М.: 1998).

ახლა დავეფიქრდეთ LARIX SIBIRICA-ზე, როგორც სიმბოლოზე. რისი სიმბოლოა ეს „მოლო ნაძვი“? ვფიქრობ, მშვენიერების, ისეთი მშვენიერების, რომელიც არ ემორჩილება „დროის ძალას“, რომელიც თავშესაფარი გამხდარა პოეტისთვის მისთვის აუტანელი გარემოს პირობებში.

თუკი განვიხილავთ „ციმბირის ნაძვს“ ეთიკის სფეროში, იგი მკაცრი ვალდებულებების სიმბოლოა, განმედილი „ურალის ქარ-თოვლით“. „კოლხიდის მზის“ ქვეშ განა რამდენი გვყავს მკაცრი ვალდებულების მატარებელი?

ვიქტორ რცხილაძე

განცხადება

აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306⁶ მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი პოლიტიკა“ კრედიტორ ს/ს „ლიბერთი ბანკის“ განცხადების საფუძველზე ატარებს მეორე აუქციონს ლევან ჯაფარიძის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:

- უძრავი ნივთის მესაკუთრე:** ლევან ჯაფარიძე (პ/ნ 13001027186), გურჯაანი, ს. ჭანდარი, პირველი ქუჩა №56
უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა: გურჯაანი, ს. ჭანდარი, „ჩალები“ (საკადასტრო კოდი: 51.11.58.305)
უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა: უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.
- უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 18524.04 ლარი.
- აუქციონის დაწყების თარიღი:** 2024 წლის 16 აპრილი, 14:00 საათი.
- აუქციონის დასრულების თარიღი:** 2024 წლის 29 აპრილი, 14:45 საათი.
- აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.
- 5.1. ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის №71271HWP101310324; აუქციონის ნომერი: 71271
ლოტის ნომერი: 1013103
- მოვალე:** ლევან ჯაფარიძე (პ/ნ 13001027186), გურჯაანი, ს. ჭანდარი, პირველი ქუჩა №56;

დავით ჯაფარიძე (პ/ნ 13001034044), გურჯაანი, ს. ჭანდარი, პირველი ქუჩა №56.

- აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი პოლიტიკა“ (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №40, სართული 11.
- აუქციონის პირობები:**
 - აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
 - მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
 - აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ლიბერთი ბანკი“.
 - აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შექმნიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი პოლიტიკა“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.
- აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის №71271HWP101310324; ლოტის ნომერი: 1013103). ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2024 წლის 29 აპრილის 12:00 საათამდე.

განცხადება

აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306⁶ მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი პოლიტიკა“ კრედიტორ ს/ს „ლიბერთი ბანკის“ განცხადების საფუძველზე ატარებს პირველ აუქციონს კოტიკო ტაბატაძის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:

- უძრავი ნივთის მესაკუთრე:** კოტიკო ტაბატაძე (პ/ნ 21001042189), თერჯოლა, ს. სიქთარვა, მე-9 ქ. №129
უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა: თბილისი, დასახლება ავჭალა 2, ვაჟა-ფშაველას ქ. №13 (საკადასტრო კოდი: 72.13.15.190)
უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა: უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.
- უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 179095.23 ლარი.
- აუქციონის დაწყების თარიღი:** 2024 წლის 16 აპრილი, 14:00 საათი.
- აუქციონის დასრულების თარიღი:** 2024 წლის 29 აპრილი, 15:15 საათი.
- აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.
- 5.1. ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის №71271HWP101310524; აუქციონის ნომერი: 71271
ლოტის ნომერი: 1013105
- მოვალე:** კოტიკო ტაბატაძე (პ/ნ 21001042189), თერჯოლა, ს. სიქთარვა, მე-9 ქ. №129.
- აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი პოლიტიკა“ (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №40, სართული 11.
- აუქციონის პირობები:**
 - აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
 - მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
 - აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ლიბერთი ბანკი“.
 - აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შექმნიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი პოლიტიკა“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.
- აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის №71271HWP101310524; ლოტის ნომერი: 1013105).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2024 წლის 29 აპრილის 12:00 საათამდე.

ვინ იყო იტალიური მაფიის პირველი „ბოსი“ ქალი?



იტალიაში 86 წლის ასაკში იტალიური მაფიის პირველი ქალი-ბოსი ასუნტა მარესკა გასულ წელს გარდაიცვალა.

გავრცელებული ინფორმაციით, ცნობილი ასუნტა მარესკა დაჯგუფებას „კამორას“ ხელმძღვანელობდა, მას კრიმინალურ წრეებში „თოჯინის“ მეტსახელით იცნობდნენ. ასუნტა მარესკა თავის დროზე იმით ვახდა ცნობილი, რომ აქტიურად მონაწილეობდა ორი მაფიოზური დაჯგუფების – „ახალი კამორასა“ და „ახალი ოჯახის“ გარჩევებში. 1954 წელს, როდესაც 18 წლის იყო, ასუნტა მარესკამ საქალაქო სილაამზის კონკურსში გაიმარჯვა, რის შემდეგაც „კამორის“ ერთ-ერთ გავლენიან კრიმინალურ ავტორიტეტზე იქორწინა, თუმცა „თოჯინისთვის“ ეს ქორწინება უიღბლო აღმოჩნდა – მამაკაცი მალევე მოკლეს. 1955 წელს, ექვსი თვის ფეხმძიმე ასუნტამ ქმრის სავარაუდო მკვლეელი დაცხრილა. გამოძიების ვარაუდით, მამის შემთხვევის ადგილზე რამდენიმე შეიარაღებული მაფიოზი იმყოფებოდა, მაგრამ ქმრის მკვლელობაზე შერი უშუალოდ ასუნტა მარესკამ იძია.

1959 წელს გამართულ სასამართლო პროცესზე ქალმა დემონსტრაციულად განაცხადა, რომ არაფერს ნანობდა და რომ კვლავაც იმავს გააკეთებდა.

„ჩემი ეს არჩევანი ცრემლებითა და პრობლემებით გადავიხადე. კაცს, რომელსაც ვესროლე ახლაც იგივეს ვუზამდი, რა უნდა მექნა, თავი მომეკლა? ორსულად ვიყავი, – მიმართა „თოჯინამ“ მოსამართლეს.

ასუნტას ქმრის მკვლელობის მკვლელობისთვის 13 წლითა და 4 თვით პატიმრობა მიესაჯა, თუმცა ციხიდან 10 წლის შემდეგ გამოვიდა. პატიმრობის დროს მან პირველი შვილი პასკალინო გააჩინა და სწორედ ეს გახდა შემამსუბუქებელი გარემოება.

ამის შემდეგ, პუპეტა მარესკა არაერთხელ გამოჩნდა იტალიურ კრიმინალურ ქრონიკებში, როგორც მაფიის აქტიური წევრი.

ცოტა ხნის შემდეგ კი მეორედ გათხოვდა – კვლავ „კამორას“ ბოსზე უმმერტო ამბუროზე. 1982 წელს კი ქალი თავად გახდა დაჯგუფების ხელმძღვანელი, ანუ la prima donna boss della camorra – დაჯგუფება „კამორას“ ბოსი პრიმალონა.

1967 წელს ასუნტა მარესკა „თოჯინა“ ცნობილი გახდა მსახიობობითაც, მან მთავარი როლი შეასრულა ფილმში „დანაშაული პოზილიზოში“, რომელიც რეჟისორმა რენატო პარავიზინიმ გადაიღო. ფილმში მას რიტა სავანიონე ახმოვანებს, მაგრამ ის თავად მღერის

მის მიერ დანერგულ სიმღერას „O bene mio“. ამის შემდეგ ნეაპოლში ტანსაცმლის ორი მალაზია გახსნა და ცოტა ხნის შემდეგ, კვლავ მგზნებარე რომანის შუა გულში აღმოჩნდა. „თოჯინას“ 1970 წელს კამორისტა უმმერტო ამბატურო შეუყვარდა, რომელთანაც ტყუპი შვილი – რობერტო და ანტონელა შეეძინა.

ამბატუროსთან დედის ურთიერთობის წინააღმდეგი იყო მისი უფროსი შვილი პასკუალე, რომელიც 1974 წელს ჩასაფრებით მოკლეს, თუმცა ცხედარი ვერ იპოვეს. ამბობდნენ, რომ ის გაიტაცეს, ქვაზე მიაბეს და ზღვაში გადააგდეს. პასკუალე არ თანხმდებოდა დედის ურთიერთობას ამბატუროსთან და არაერთხელ დაემუქრა მათ.

ამის გამო ამბატურო მამინევე ეჭვმიტანილი იქნა მკვლელობის საქმეში, მაგრამ პუპეტამ ეს პიპოთეზა სერიოზულად არ მიიღო. ამბატურო დააპატიმრეს, მაგრამ 1975 წლის აპრილში იგი მტკიცებულებების არქონის გამო გაამართლეს. მიუხედავად ამისა, ამ ორს შორის ურთიერთობა მაინც გაუფუჭდა და ისინი დამორღვენენ.

როდესაც ამბატურო პერუში, ახალი ლამაზი და მდიდარი შეყვარებულის, იოჰანა ვალდისის გარემოცვაში დააკავეს, მარესკამ თქვა:

„ჩემთვის უმმერტო აღარ არსებობს, დარჩა მხოლოდ ჩემი შვილების მამა, რომლებსაც უყვართ ის და პატივს სცემენ, როგორც ეს მათი მოვალეობაა.“

გარდა ამისა, მარესკას ცხოვრება არაერთი კინოფილმის შექმნის ინსპირაციის წყარო გახდა – მისი ცხოვრების წესსა და პიროვნებაზე გადაღებულია რამდენიმე ფილმი: „გამონვევა“, „პუპეტა მარესკას საქმე“, „პუპეტა: სიმამაცე და ვნება“.



მხარე

ზუგდიდში Max Fight-ის რიგით მერვე ღონისძიება ჩატარდა. ღია ცის ქვეშ მოწყობილ ოქტაგონზე გამართულ შეჯიბრებაში 5 ქვეყნის სპორტსმენები მონაწილეობდნენ.

ღონისძიება სამგზის მსოფლიო ჩემპიონის დავით ძინიას ორგანიზებით, სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციისა და ზუგდიდის მერიის მხარდაჭერით მოეწყო. კიკბოქსინგსა და MMA-ში გამართულ ბრძოლებს ვიცე-პრემიერი, თავდაცვის მინისტრი ირაკლი გომიანი, სახელმწიფო რწმუნებული გიორგი გვამრიანი, სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის ხელმძღვანელი ანდრეი ჩხეიძე, პარლამენტის წევრი მურაზ ქვარცხელია, ზუგდიდის მერი მამუკა წონიანი, მერისა და სახელმწიფო რწმუნებულის მოადგილეები ესწრებოდნენ.



ლეგიონერი

ლიბერალის მისაღობობთან

„ვალენსიას“ ფანები გიორგი მამარდაშვილს დარჩენას სთხოვენ. „ბარსელონასთან“ შეხვედრის წინ გახურებაზე მოედანზე გასულ ქართველ მეკარეს ადგილობრივი პუბლიკა ტაშით და შეძახილებით დახვდა: „გიორგი, დარჩი“. მატჩამდე ესპანურ მედიასთან „ვალენსიას“ სპორტულმა დირექტორმა მიგელ ანხელ კორნაბას დაადასტურა, რომ მამარდაშვილის წასვლის შესახებ არაფერია. „ფანტასტიკურია იმის დანახვა, თუ რამდენად სურთ ფანებს მისი დარჩენა. მართალია, სატრანსფერო ბაზარზე ის ძალიან სურთ, მაგრამ მეტი არაფერია და ამ მომენტისთვის ის ჩვენთანაა. დიდი ინტერესია ერთი კლუბისგან, მაგრამ როგორც ვთქვი, ახლა მეტი არაფერია“, – თქვა კორნაბას. ამავდროულად ბრიტანული მედია წერს, რომ უახლოეს ხანში „ლივერპულთან“ გარიგება საბოლოოდ შეიძლება დაიხროს და მომდევნო კვირა გადამწყვეტი იქნება. ზოგიერთი გამოცემა ამტკიცებს, რომ „ნითლეიმი“ 30 მილიონ გირვანჯა სტერლინგს შესთავაზებენ „ვალენსიას“, ხოლო 4 მილიონ გირვანჯა სტერლინგზე მეტს „ბორნუთი“ გადაიხდის იჯარისთვის. ამრიგად, თანხა თითქმის 40 მილიონი ევრო იქნება, რასაც „ვალენსია“ ითხოვს. შესაბამისად, თუ კლუბებს შორის შეთანხმება შედგა, ტრანსფერს წინ ვე-




რაფერი დაუდგება, რადგან მამარდაშვილი შეთანხმებულია „ლივერპულთან“ და იმაზეც თანახმაა, რომ იჯარით „ბორნუთში“ გადავიდეს... შეგახსენებთ, რომ გიორგი მამარდაშვილი „ვალენსიას“ ლირსებს 2021 წლიდან იცავს და მან ესპანურ კლუბში 101 თამაში ჩატარა. ქართველმა მეკარემ ეს სეზონიც „ლაპორტოში“ დაიწყო და „ბარსელონას“ წინააღმდეგ (1:2) საუკეთესო იყო.

მარადიული დღე – სასწაული

მამარდაშვილი ის მაინც პირველი იყო...

რა ბასაჰშირა, რომ, მართალია, პარიზის ტრიუმფიდან უკვე 1 კვირა გავიდა, მაგრამ ქართველი კულმბატკივარი მაინც ოლიმპიურ ტალღაზე მომართული. მიზეზი ბანალურია – გუშინ 20 წელი შესრულდა მას შემდეგ, რაც ზურაბ ზვიადაშვილი დამოუკიდებლობა აღადგინა სამშობლოს ისტორიული პირველი ოქრო მოუტანა. შეგახსენებთ, რომ ათენში გამგზავრებამდე ევროპის ორგზის ჩემპიონმა და მსოფლიოს ასევე ორგზის ფინალისტმა უმძიმესი ტრავმა მოიპოვა, რის გამოც მისი გამარჯვების ცოტას თუ სჯეროდა, მაგრამ... ერთი შეხედვით, ზვიადურს წილისყრისას გაუმართლა, რადგან პლანეტის მოქმედი კორეელი გვირგვინოსანი ჰი ტაე ჰვანგი, ოლიმპიური და ევროპის მრავალგზის ჩემპიონი მარკ ჰუბინგა, კონტინენტის მოქმედი უკრაინელი ოქროსმედალოსანი ვალენტინ გრეკოვი, სერგეი კუბარენკო, იაპონელი პირობი იზუმი, ესპანელი დავით ალარსა და კანადელი კეიტ მორგანი მერვე ჯგუფში მოხედნენ, თუმცა ნაკლებად მრისხანე მეტოქეთა ძლევა არც მას მოუწია. დიას, სპორტულ სამყაროში გამორჩეული ავტორიტეტით სარგებლობენ იტალიელი ფრანჩესკო ლეპრე, რუსეთელი ხასამბი ტაოვი, ფრანგი ფრედერიკ დემონფოკო, ინგლისელი ვინსტონ გორდონი და ზემოთ უკვე ნახსენები ფინალისტი პირობი იზუმი, ვისაც ზურამ ანო ლიოსიას დარბაზში მძაფრი ბრძოლები მოუგო და საპატიო კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე შეაბიჯა! ახლა კი მედნიერ ჩემპიონს მოვუსმინოთ: „17 წელიწადი ახ-

მეტში ვიზრდებოდი. ჭიდაობას და ნახერხობილ სარბიელს ძმებმა მაზიარეს და შემდეგ სწორედ მათ მიმიყვანეს საგარეო მარტო-გული აპარამპილითან. როგორც ყველა დღესასწაულზე, ქართულ ჭიდაობაში ზოგს ვერეოდი, ზოგიც მუაზინიდა, ძიუდოთი სერიოზულად გატაცებას კი უფროსებში ერთგულ პირველობაზე მოპოვებული ბრინჯაო მომყვდა და საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელის შოთა ხაბარელის დაჯილდოვებით თბილისში გადმომიყვანეს... დავძენთ, რომ ნლით უფროსი ბიძაშვილის მიღწევას წინ უძღოდა საბერძნეთის სახელით მოჭიდავე ჰარჯი ზვიადაშვილის მიერ მოხვეჭილი ტიტული, ჩვენი კოლეგისა და მეგობრის მამა დანელიას სიხარულის ცრემლები კი, დარწმუნებულნი ვართ, ყველას გახსოვთ.



ოვალური გურთი

უმცროსი გორჯალალოსნები

ინგლისთან რევანშის აღებასთან დაკავშირებით დაიწყო, მაგრამ მეტოქემ მეორე ტაიმში ვაილადა და ისე, როგორც 4 თვის წინათ, ამჯერადაც ერთი გარდასახული ლელოთი ფარგლებში იმძლავრა – 27:20. აპრილში 18-წლამდელთა ექვსი ერის ფესტივალზე ინგლისმა გაწვითლებულ დროზე გატანილი ლელოთი გარდასახვით 26:19 მოიგო. სამხრეთ აფრიკაში მიმდინარე საერთაშორისო სერიის მეორე მატჩში საქართველომ მეტოქე პირველ ტაიმში პირნიმდად დაჯაზა და 15 ქულითავე დანინაურდა, მაგრამ შესვენების შემდეგ გამოცდილმა ოპონენტმა თამაშის შემობრუნება მოახერხა. უმცროსმა ბორჯალალოსნებმა პირველ ტაიმში ძალიან მაგარი დაცვა ითამაშეს, ხისტი ბოჭვეებით ინგლისის წნეხში მოაქციეს, მეორეზე კონტროლი დაამყარეს და ლამაზი კომბინაციებით ერთი მეორეზე უკეთესი ლელოები გაიტანეს. შესვენების შემდეგ უმეტესად უზურთოდ დაფრჩით, რითაც მეტოქემ ისარგებლა და რევანშის აღების შესაძლებლობა არ მოგვცა. თამაში ინგლისის სწრაფი შეტევებით დაიწყო, რასთან გამკლავებაც სანყის ნუთებზე გაგვიჭირდა, რამდენიმე შეცდომა და ვეუპოვით და თავგანწირული დაცვის მიუხედავად, მე-ნუთზე ლელო მივიღეთ. სადებიუტო მღელღარების გადალაზვის შემდეგ უმცროსმა ბორჯალალოსნებმა მეტოქე წნეხში მოაქციეს და ერთი მეორის მიყოლებით შეცდომები დააშვებინეს. საპასუხო ლელოთი გატანის შანსი მალევე გვეკონდა, მაგრამ შერკინებლან შეტევის შემდეგ, ლელოდან 6 მეტრში არასწორი გადაყრისთვის დაჯარიმდით. მიუხედავად ამისა, ბურთი სწრაფად დავიბრუნეთ, ინგლისი კარის წინ 35 მეტრში დაჯარიმდა და გივი სირბილაქემ სხვაობა 2 ქულამდე დაიყვანა. საქართველო სრულად დაეუფლა სათამაშო ინიციატივას. ხისტ ბოჭვეებს და აგრესიულ

რეპანსის იქნება

ახურვეს ინგლისელებმა ვერაფერი დაუპირისპირეს და ერთი მეორის მიყოლებით დაუპეეს შეცდომები. ერთ-ერთი ასეთი შეცდომის შემდეგ, 22-ის მისაღობობებთან დანიშნული შერკინებლან სწრაფად შეიცვალა შეტევის მიმართულება, მოკლე ფრთაზე რიყობრივ უპირატესობაში აღმოჩნდით, ნიკოლოზ ხალვაშვილმა მცველები დაქნევით ორჯერ დააბნია და საპასუხო ლელო გაიტანა. თამაში რომ განახლდა, ხალვაშვილმა მარცხენა ფრთაზე კიდევ ერთხელ შეუტია, გივი სოსელიას პასის შემდეგ ბურთი ფეხით გადაიკიდა და მიყვდა, მაგრამ ლელოში შესული ოვალი გვერდით ხაზს იქით გადავიდა. 24-ე ნუთზე საბა შარვაშიძის შესრულებულ ძალიან მაგარ ბოჭვას კონტრ-რაქი და ჯარიმა მოყვა. ამჯერად უმცროსმა ბორჯალალოსნებმა ლელოზე თამაში ირჩიეს, მოლოთი კარგადაც იარეს და ინგლისი მისი ჩაქცევისთვის დაჯარიმდა. სირბილაქემ ბურთის აუტში გადატანას ვათამაშებდა არჩია, ფორვარდების რამდენიმე დარტყმის შემდეგ შარვაშიძემ ალამთან ლელო გაიტანა, თუმცა მანამდე გვერდით ხაზს შეხვო და ჯარიმა დაგვიბრუნდა. სირბილაქემ ბურთი ამჯერადაც ვათამაშა და მარცხენა ფრთაზე გამოშობილად გადაიკიდა, სადაც მას გივი სოსელია შეეგება და თავისი გუნდის მეორე ლელო გაიტანა. 30-ე ნუთზე აგრესიულ დაცვას

კიდევ ერთი ჯარიმა მოყვა, მაგრამ სირბილაქის 43 მეტრიდან დარტყმული მიზანს ასცდა. შემდეგ ჯერზე ჯარიმიდან ბურთი უკვე აუტში გაიგზავნა, ცრუ-მოლს დავით არჩვაძე მოწყდა, რომელმაც შარვაშიძის იდეალური შემრუნებული გადაცემა გაუკეთა, საბამ მოჭვავი გაბითურა და იდეალურად გათამაშებული კომბინაცია ლამაზი ლელოთი დაასრულა. სირბილაქის გარდასახვა ამჯერად ზუსტი იყო – 20:5. შესვენების წინ მეტოქემ 5-მეტრიანი დერეფნიდან კარგი მოლი დააყენა და წინააღმდეგობის მიუხედავად ინგლისმა ლელოთი ჩამორჩენა შეამცირა. მეორე ტაიმი თანაბარ ბრძოლაში დაიწყო, თუმცა 51-ე ნუთზე ინგლისმა შეძლო კარგი შეტევის ორგანიზება, ხელდახელ ბურთი სწრაფად ჩაათამაშა და მარცხენა ფრთაზე ლელო გაიტანა, რომელსაც ზუსტი გარდასახვა მოყვა. სამხუხაროდ, ბურთზე კონტროლის დამყარება ვერც ამის შემდეგ მოხერხდა, 55-ე ნუთზე დერეფნის შემდეგ ხაზი სუფთად გაიჭრა, ინგლისმა მეოთხე ლელო გაიტანა, გარდასახვა და 4 ქულით დანიშნულა. 66-ე ნუთზე კარიდან დაახლოებით 25 მეტრში დავჯარიმდით, მეტოქემ ალარ გარისკა, კარში დარტყმა ირჩია და 27:20 დანიშნულა. უმცროსი ბორჯალალოსნები არ დანებდნენ, ბოლო ნუთზე საკუთარი 5-მეტრიანიდან ხელდახელ შეუტეს და დაახლოებით 70 მეტრი იარეს. იქ ინგლისი დაჯარიმდა, ბურთი აუტში გადავიტანეთ და მოლი ავავაგორეთ, რომელმაც ლელომდე მანძილი თითქმის დაფარა, მაგრამ ჩაიქცა, ბურთი გაიჭვდა და ინგლისმა 7-ქულიანი გამარჯვებით გაიხრის. საქართველო სამხრეთ აფრიკის საერთაშორისო სერიაზე დასკვნით მატჩს ხვალ ჩვენი დროით 17:30 საათზე ირლანდიასთან, პარლის ვაჟთა სკოლის მოედანზე გამართავს.



სსრკ

გულ კობიაშვილი



თანამედროვე ქართულმა მწერლობამ კიდევ ერთი მეტად მტკივნეული დანაკლისი განიცადა.

გარდაიცვალა თვალსაჩინო ქართველი მწერალი და საზოგადო მოღვაწე გულ კობიაშვილი.

ქართველ მწერალთა რიგებს გამოაკლდა სამშობლოს ბედსა თუ უბედობაზე ღრმად დაფიქრებული ჩინებული შემოქმედი, რომელიც ათწლეულების განმავლობაში წარმატებით იღვწოდა მწერლობის ისეთ ურთულეს უბნებში, როგორც პროზა და პოეზია და თავისი წონადი წვლილი შექმნიდა ქართული სიტყვაკაზმული ლიტერატურის განვითარებაში...

გულ კობიაშვილი დაიბადა 1949 წლის 30 იანვარს, ყაზბეგის რაიონის სოფელ ყანობში. საშუალო სკოლა ყაზბეგში დაამთავრა და 1967 წელს სწავლა განაგრძო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტზე, რომელიც 1972 წელს დაასრულა. მას შემდეგ გულ კობიაშვილი სხვადასხვა დროს მუშაობდა საქართველოს წიგნის სახელმწიფო პალატის რედაქტორად და მოგვიანებით განყოფილების გამგედ, გამოქვეყნდა „ეროვნული მწერლობის“ რედაქტორად და ყველგან სათნოებისა და სიკეთის დამკვიდრებას ემსახურებოდა, ყველგან სიყვარულს ასხივებდა...

გულ კობიაშვილის სამწერლო ნათლობა 1980 წელს შედგა, როდესაც ურნალ „ცისკარში“ გამოქვეყნდა მისი პირველი ნოველები. მას შემდეგ ამ ორიგინალური ხელნაწერის მქონე შემოქმედის ნაწარმოებები – ნოველები, მოთხრობები, ლექსები, პუბლიცისტური სტატიები პერიოდულად ქვეყნდებოდა ქართულ სალიტერატურო ურნალ-გაზეთებში, გამოდიოდა ცალკე წიგნებად.

ქართველმა მკითხველმა შეიყვარა მწერლის ისეთი პროზაული კრებულები, როგორც „აღვსი ხეები“, „გაბაფხულის საღამო“, „ლალი, როგორც ფრინველი“, „გადაუღებელი წვიმების შემდეგ“... ეს სიყვარული უპირველესად განპირობებული იყო იმით, რომ გულ კობიაშვილს გამოარჩევდა მეტყველი და ნათელი სტილი, მდიდარი ფანტაზია, დახვეწილი ლიტერატურული გემოვნება და უფაქიზესი იუმორის გრძობა. და, რაც მთავარია, ამ კრებულებში შესული ნაწარმოებებიდან მათ ქვეყნის ჭეშმარიტი ჭირისუფალი ესაუბრებოდა, რომელსაც სრულად ჰქონდა გასიგრძელებული საქართველოს წინაშე მდგარი ურთულესი პრობლემები. იგი მისთვის ჩვეული იუმორის გრძობით წარმოაჩენდა XX-XXI საუკუნეების გზაგასაყარზე მცხოვრები თანამემამულეების ყოველდღიურობას, იმ საშინელ ყოფას, რაც თითქოს უნდა აჩლუნგებდეს იმ ღვთიურ სანყისებს, რაც აღამიანს აღამიანად აქცევს. ამის მიუხედავად, მწერლის პერსონაჟები უძლებენ ყველა ვასაჭირს, უძლებენ გულგრილობას, აპათიას, სისასტიკესა და დაუნდობლობას და, რაც არ უნდა გასაკვირი იყოს, მაინც ამაყნი და ქედუხრებნი რჩებიან; მაინც მტკიცედ სწამთ, რომ ერთხელაც ულამაზესი და უმშვენიერესი ცისარტყელა დიადემად დაადგება წამების გზაზე შემდგარ მათ სამშობლოს და მუსრს გაავლევს მოღალატეთა და ქვეგამხედვართა ლეგიონებს...

ბოლო წლებში გულ კობიაშვილმა მშვენიერი ლექსებითაც დაგვამახსოვრა თავი. ამ ლექსების ლირიკული გმირი ხომ ფრთებს ნატრობს, ცაში აჭრას, რათა იქიდან კიდევ ერთხელ გადმოხედოს მშობლიურ ქარაფებს, საიდანაც მალე მსროლივით ჩამორბიან ჩალისფერი ნისლეუნი და ჩვენს მარადიულ არსებობას ასაზრდოებენ...

გულ კობიაშვილის შემოქმედების საუკეთესო ნიმუშები ითარგმნა შვედურ, სომხურ და რუსულ ენებზე.

მწერლის მრავალწლიანი შემოქმედებითი საქმიანობა ღირსეულად დაფასდა. მას მინიჭებული ჰქონდა საქართველოს მწერალთა კავშირის ნიკო ლორთქიფანიძის, ნიკო ნიკოლაძისა და რევამ ინანიშვილის სახელობის პრემიები.

მოხევის სისხლი ჩუხჩუხებდა მის ძარღვებში, დარიალის მეციხოვნის სისხლი და ეს სისხლი აძლევინებდა, რათა გზა გაეკვლია წუთისოფლის უღრანებში სიარულისას, დარჩენილიყო სიმართლისა და პატიოსნების ერთგულ პიროვნებად.

სწორედ ასეთი გულ კობიაშვილი დაგვამახსოვრდება ჩვენ – მის კოლეგებს, მეგობრებს, მისი შემოქმედების თაყვანისმცემლებს, ყველას, ვინც მასთან ერთად ოცნებობდა და ოცნებობს საქართველოს უკეთეს მომავალზე.

საქართველოს მწერალთა კავშირი

არღვიწყა

თემო გოცაძე



რა უცებ გაირბინა ერთმა წელიწადმა... ხვალ ჩვენი ერთგული, გამორჩეული მეგობრის, რუსთაველის პრემიის ლაურეატის, დიდებული მხატვრის თემო გოცაძის გარდაცვალების დღეა...

ახალგაზრდობიდანვე ნორმიდან ამოვარდნილი ტალანტი, მიჭი – ვუნდერკინდი, სტუდენტი – რევოლუციონერი, რეფორმატორი, ყველაფრის დამწინებელი, საკუთარი თავისადმი მომთხოვნი, პრინციპული და „დაუნდობელი“...

„ლურჯა ცხენები“, „ეფემერები“, „დაბადება“ რომ შექმნა, მტრებმა კი აღიარეს, რომ ქართულ მხატვრობას დიდი ტალანტი მოეგვინა.

საქართველოს ტელერადიოკომიტეტში, სადაც თემო მთავარ მხატვრად 12 წლის განმავლობაში მუშაობდა, ხალხი სპეციალურად გოცაძის შედეგების სანახავად მიდიოდა. „ლურჯა ცხენები“ ხომ დიდხანს ტელევიზიის ფოიეს ამშვენებდა...

თემო იყო თბილისის „მხატვრის სახლის“

დირექტორი, საქართველოს სამუზეუმო-სამეცნიერო გაერთიანების, ეროვნული გალერეის გენერალური დირექტორი, თბილისის კულტურის სახელმწიფო ინსტიტუტის პროფესორი.

თემო გოცაძე იყო ღირსების ორდენის კავალერი, რუსთაველის პრემიის ლაურეატი, თბილისის საპატიო მოქალაქე, საქართველოს სახალხო მხატვარი...

თემო იყო მეტყველი საქართველოს დიდი ჭირისუფალი, ჭეშმარიტი პატრიოტი.

თემო იყო სიკეთის, სიყვარულის, სიმართლის მთესველი პიროვნება.

ღმერთმა მარადიული სასუფეველი დაუმკვიდროს თავის საფიქარ მეუღლესთან, ქართველი ხალხის ერთ-ერთ უსაყვარლეს მსახიობ მარინა ჯანაშიასთან ერთად! ისინი ხომ ერთად განისვენებენ ქართველ მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა მახათას პანთეონში!

ვლოცულობთ თქვენი სულებისთვის!..

მემორიალი

პიკვილი

საჩხერელი ვითხოვებით...

მწუხარებით მოსილი საჩხერე ეთხოვება მუნიციპალიტეტის ყოფილი გამგებლისა და აკაკი წერეთლის სახელმწიფო მუზეუმის ამჟამინდელი დირექტორის ცეზარ ლაშხის მეუღლეს, უსათნოეს და უკეთილშობილეს ქალბატონს

ზოია გაბაძის

თუ გავითვალისწინებთ სულითა და სხეულით ამ ულამაზესი, ღვთისნიერი ქალბატონის ათეულობით წლების განმავლობაში მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი სისტემაში მოღვაწეობას, რითიც წონადი ღვაწლი და ამაგი დასდო ქსელის განვითარებას, გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ იგი გარდაეცვალა არა მარტო ლაშხის ტრადიციულ, ქართულ ოჯახს, არამედ საჩხერის მთელ საზოგადოებრივობასაც.

ოთხი ღირსეული შვილის, რვა შვილიშვილის, ამდენივე შვილთაშვილის აღზრდელი ქალბატონი ზოია იმ ქვეყანაში მიეახლება თავის მუდმივ დარდს და სიამაყეს, ცნობილი პაროდისტი მეგობრის, ობოლა ციმაკურიძის გადარჩენის ამაო მცდელობის დროს დაღუპულ უფროს ვაჟს ლაშა ლაშხს, ვინაც, ამ საქციელით, სამუდამოდ დაიმკვიდრა ადგილი იოსებ შორდანიას, ცოტნე დადიანის, გრიგოლ ფერაძის და სხვათა გვერდით.

ქალბატონი ზოიას სიკეთის, ჰუმანურობისა და კეთილშობილების დაუვინყარი სახე გვაძლევს სტიმულს, რომ უკვდავყოფილ იყოს ხსოვნა ამ უსპეტაკესი სულის ადამიანისა!..

საზოგადოება „საჩხერელი“



მეუღლე ცეზარ ლაშხი, შვილები ლაშა, მამა, პაპა, თაა, მამლი თაგა ლაშხი, მული ლალი ლაშხი, რძლები მამა კომლაძე, ია ჭილაძე, სიმეონი თემურ ჩაჩანიძე, კობა კუჭა-ლაძე, აკაკი მგზრალიშვილი, სერგი გაფრინდაშვილი, ამირან ქარდავა, ლუკა სახპაძე, შვილიშვილები, შვილთაშვილები იწყებებიან, რომ გარდაიცვალა

ზოია უსანგის ასული გაბაძე-ლაშხი

პანაშვილი 19 აგვისტოს, დასაფლავება 20 აგვისტოს 14 საათზე, ქ. საჩხერე, ლ. ლაშხის ქ. N17.

საზოგადოება „ქართულა“ ლადო ასათიანის სახელობის პრემია დააარსა

2024 წლის 23 ივნისს, ლადო ასათიანის გარდაცვალების დღეს დიდუბის მხარეთა და საზოგადოებრივი მოღვაწეთა პანთეონში საზოგადოება „ქართულა“ გამოთქვა სურვილი, გარკვეული წელიწადი შეეტანა დიდი პოეტის შემოქმედების უკვდავო ფაქტში. ამ მიზნით, ახლახან საზოგადოება „ქართულა“ ლადო ასათიანის სახელობის პრემია დააარსა.

„საზოგადოებას დაეპირდით, რომ ხელს შეუწყობდით დიდი პოეტის შემოქმედების პოპულარიზაციის საქმეს. მისი სახელობის პრემიის დაარსება პირველი ნაბიჯია ამ მიმართულებით“, - აღნიშნა საზოგადოება „ქართულა“ თავმჯდომარე გიორგი გაბუნიაძე.

ლადო ასათიანის სახელობის პრემიის გამარჯვებულს საზოგადოება „ქართული“ საქართველოს მხარეთა კავშირთან ერთად გამოაქვს. პრემია ახალგაზრდა პოეტებისთვისაა განკუთვნილი. წელს იგი გამარჯვებულს 27 სექტემბერს, ჯვართქმების დღეს და სოხუმის დასახლების დღეს პატრიოტული თემატიკისადმი მიძღვნილი ახალი ლექსებისთვის გადაეცემა.

„საზოგადოება“ ქართული მიზნად ისახავს სახელმწიფო, ადგილობრივ, საზოგადოებრივ და კერძო სტრუქტურებთან თანამშრომლობით

ფანჯრისკენი, როგორც დიდ კომპოზიტორს ეძვნება



ეროვნული ბიბლიოთეკის კიდევ ერთი კარგი გამოცემა

1924 წლის აჯანყების 100 წლისთავის აღსანიშნავად საქართველოს პარლამენტის ერთგული ბიბლიოთეკის ქართველოლოგიის განყოფილებამ გამოასვენა მთავარი ამ თარიღთან დაკავშირებული ერთგული ბიბლიოთეკის ფონდში დაცული მასალების ბიბლიოგრაფია.

ერთგული ბიბლიოთეკის ინფორმაციით, გამოცემას მალე იხილავს საზოგადოება. ბიბლიოგრაფიული მასალა ხელმისაწვდომი იქნება ელექტრონულად. 1924 წლის აჯანყება უმნიშვნელოვანესი მოვლენა იყო საქა-



ღირსეული პატივი მიაგოს გამოჩენილ მამულიშობელთა ხსოვნას, - განაცხადა საზოგადოება „ქართული“ ერთ-ერთმა დამფუძნებელმა, აკადემიკოსმა ვალერი ასათიანმა.

გიგო მუდამ ასე მხიარული...


რუსთველის ზრახვეტზე სიარული ნუ მომიშალს ღმერთმა, გიგო მუდამ ასე მხიარული, ქართული ზოგადი მერქვას. ზურის ნატეხი და ვრთი ღიბრა ღვინო სიმღერად ჩამოთვალეთ, თუ მეტი ვინატირ ან ეს ვითაკილო, - ვერ ვნახო სამოთხის მთავარე, მხოლოდ ღრადღარო

დამარტყანას ქაშეთის შემოხედავამ - რუსთველის ზრახვეტზე სეტყავი ნუ მომიშალს ღმერთმა..

ლადო ასათიანი

ფერისსვალა უფლისა ღვთისა და მახსოვრისა ჩვენისა იესო ქრისტისი

დღეს, 19 აგვისტოს საქართველოს წმინდა მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია დღესასწაულობს იესო ქრისტეს ფერისსვალას. ფერისსვალა იესო ქრისტეს ამქვეყნიური ცხოვრების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მოვლენაა, ამიტომაც მართლმადიდებელმა ეკლესიამ ერთ-ერთ უდიდეს საუფლო დღესასწაულად შეარქვა.



...როდესაც იესო ქრისტეს ჯვარცმის დღე ახლოვდებოდა, იგი უნდა ვნებულყოფილად აღაშინებდა მოწონებელთა. მან იცოდა, რომ გვერდი ვერ გაუძლებდა ამას, ზეური დაკარგავდა სასოვებს და რწმენას, და იმედს საუკუნო ცხოვრებისას, ამიტომაც გადაწყვიტა, ყველაფერი გაეკეთებინა იმისათვის, რომ ისინი რწმენით განემტკიცებინა, გაეძლიერებინა...

ნიშანდობლივია ის, რომ თაბორის მთაზე ასაყვანად უფალმა თავის მოწაფეთაგან გამოარჩია პეტრე, იაკობი და იოანე.

კითხვამ - თუ რატომ წაიყვანა იესო ქრისტემ თაბორზე მხოლოდ სამი მოწაფე?! პასუხი ასეთია - სამი მოწაფის არჩევით უფალს იმის ჩვენება უნდოდა, რომ ფერისსვალა საშემის ნებით მოხდა!

ხოლო, რაც შეეხება იმას, თუ როგორ მოხდა ყოველივე ეს, შესანიშნავადაა აღწერილი ფერისსვალის ეპიზოდში (სახარება მათე 17:1-9); ლოკვის დროს (თაბორზე) მაცხოვრის სახე განათდა. გაბრწყინ-

და როგორც მზე, ხოლო ტანსაცმელი თეთრი გახდა, როგორც სპეტაკი თოვლი და მას გამოეცხადნენ მოსე და ელია და აუწყეს მისი აღსასრულის შესახებ იერუსალიმში.

მონაფეები თავიდან რულმა მოიცვა და როდესაც გამოთხილდნენ, დაინახეს უფლის დიდება და გეციდან მოესმათ მამა-ღმერთის ხმა: „ესე არს ძე ჩემი საყვარელი, მაცისი ისმინეთ!“

საგულისხმოა, რომ ფერისსვალის დღესასწაული მთელი 7 დღის განმავლობაში გრძელდება.

გიული ლიბარტია გღაა! - სად კომუნისტები და სად კაპალა პარისი?!


რადიკალი გიული სოციალისტი კაპალა პარისი უფრო ადვილი დასამარცხებელია, ვიდრე ჯო ბაიდენი, - ამის შესახებ აშშ-ის პრეზიდენტობის კანდიდატმა დონალდ ტრამპმა პენსილვანიის შტატში მხარდამჭერებთან შეხვედრის დროს განაცხადა.

„გუშინდელ გამოსვლაში კაპალა განხილავს სრული კომუნისტი. მოუსმინეთ მას? მას ჩვენი ქვეყნის განადგურება სურს. კატასტროფული ინფლაციის გამოწვევის შემდეგ ამხანაგმა კაპალამ გამოაცხადა, რომ სურს სოციალისტური ფაქტების კონტროლის დანერგვა. ამას

აქამდე არასდროს უმუშავია. ეს არის მადურის გეგმა, ვენესუელა. მადურის გეგმა, ისევე როგორც ძველი საბჭოთა კავშირის. მათ სცადეს ეს. როგორ განვითარდა ვითარება საბჭოთა კავშირში? ვენესუელა გახდა რუსეთის უფრო პატარა ვერსია. ჩვენ ვერ დავუშვებთ ამ გიული სოციალისტს. ის აპირებს, ჩვენი ქვეყანა დაანგრის და ჩვენს ეკონომიკას უფრო მეტად დაანგრევს, ვიდრე დანგრეულია. დამსხვრეული ეკონომიკა გვაქვს. მიწოდების ჯაჭვები გაქრა“, - განაცხადა დონალდ ტრამპმა.

ბარდაიხვალა კინოს ლეგენდა

რომონტო იუნკებთან, ალენ დელონი გარდაიცვალა საკუთარ სახლში საფრანგეთის კომუნა სოულში, შვილებისა და სხვა ოჯახის წევრების გარემოცვაში. როგორც ცნობილია, მსახიობს ალცკემიერის დაავადება და კიბო დაუდგინეს. 2024 წლის იანვარში სასამართლომ შეზღუდა მისი ქმედუნარიანობა და მსახიობს აუკრძალა თავისი უძრავი ქონების მართვა.



აპრილში ცნობილი გახდა, რომ საფრანგეთის მონტარჟის კომუნის სასამართლომ მსახიობ ალენ დელონს მეურვეობის გაძლიერებული რეჟიმი დაუწესა. დელონის შემოსავალი და ქონება მეურვის პასუხისმგებლობის ქვეშ გადავიდა. თუმცა, ამ პიროვნების გვარი გასაიდუმლოებულია. 88 წლის მსახიობი სასამართლოს დაცვის ქვეშ ჯერ კიდევ იანვარში მოექცა.

2022 წლის მარტში ალენ დელონმა გამოაცხადა ევთანაზიის გზით სიკვდილის სურვილი. მსახიობის ვაჟის, ენტონის თქმით, მამამ ანდერძიც კი დაწერა ამის შესახებ, მაგრამ სურვილის შესრულებაზე უარი განუცხადეს.

უხსოვრი პალატის კარგი: აშშ დოლარი - 2.6903; ევრო - 2.9566; ბრიტანული ბირჟანა სტერლინგი - 3.4713; 100 რუბლი - 3.0249; თურქული ლირა - 0.0799; აზერბაიჯანული მანათი - 1.5819; 1000 სომხური დრამი - 6.9270.

საქართველო

მთავარი რედაქტორი სპარტაკ ქობულაძე (599-36-00-35);

რედაქტორის მოადგილე მამუკა ვაშაკიძე (597-22-07-04),

შემოქმედებითი ჯგუფი: ალექს ალაღანიშვილი, თემურ ქორიძე, თათარ ტურაბელიძე, გია პლატონიშვილი,

პიარისა და მარკეტინგის მენეჯერი რუსუდან ქობულაძე (577-77-27-17),

სტილისტ-კორექტორები: ნაირა გეგელია, მაია იორამაშვილი.

ოპერატორი შორენა გვილია. დამკავალდონებელი გიორგი მახარაშვილი.

გამეტ „საქართველოს რესპუბლიკის“ განახლებული ლოგოს ავტორი გიორგი ნადარეიშვილი

მისამართი: თბილისი, აკაკი წერეთლის N116

წერილები გამოგზავნეთ ელექტრონულ მისამართზე: sak@sak.ge

გაზეთი დამოუკიდებელია და ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. რედაქციის აზრი, შესაძლოა, არ ემთხვეოდეს ავტორთა მოსაზრებებს.

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს უკან არ უბრუნდებათ. ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია. რედაქცია პასუხს არ აგებს სოციალური ქსელიდან და სხვა მედია-საშუალებებიდან გადმოზეჭილ, ან უცხოური პრესიდან თარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე, აგრეთვე სარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სტილზე.

იხეხება სტამბა „კოლორი“ ე. ბაღდავაძის №3

„კოლორი“ ჯგუფი

UAC(უბაკ)070.4(479.22) C-323



2 009882 616932 რეკლამისთვის დარეკეთ: 577-77-27-17

rkobulia29@gmail.com ანგარიშის ნომერი GE90BG000000538329790

გაზეთის მომწოდებელი ნომერი გამოცემა ხუთშაბათს 22 აპრილი